ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4403746

ნომერი: AR1664858

თარიღი : 28.02.2019

გაცემის თარიღი : 06.03.2019

გაცნობის თარიღი : 06.03.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ატენის ქუჩა, N 16ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ასათიანი პ/ნ 01024023497
- თბილისი ბახტრიონის ქ. N 16 ბ. 29

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2019 წლის 28 თებერვლის №AR1664858 განაცხადთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019

წლის 28 თებერვალს №AR1664858 განაცხადით მომართა გიორგი ასათიანმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 15 იანვრის №3778683 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 15 იანვრის №3778683 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ატენის შესახვევის N16-ში, ატენის ქ. N17-ში,ატენის ქ. N19-ში თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N01.14.14.011.083) მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 16 იანვრიდან 2018 წლის 16 დეკემბრის ჩათვლით. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირდა ამხანაგობა „ატენი-19“ (205486421), ფიზიკური პირი: ბაქარ გეგელაშვილი (01024037601).
სამსახურის 2018 წლის 09 ოქტომბრის №4209656 ბრძანებით ცვლილება შევიდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 იანვრის №3778683 ბრძანებაში და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირებულია შ.პ.ს "ჰოვერი" (405287032), ფიზიკური პირი: რუსუდან ველიძე (პ/ნ: 01026004005).
2018 წლის 19 სექტემბრის NAR1631950 განცხადებით წარმოდგენილია ამხანაგობა „ატენი-19“-ს (205486421) და შ.პ.ს "ჰოვერი"-ს (405287032) შორის გაფორმებული ნარდობის ხელშეკრულება და ამხანაგობა „ატენი-19“-ის თანხმობა დამკვეთად შ.პ.ს "ჰოვერი"-ს (405287032) დაფიქსირებასთან დაკავშირებით.
2019 წლის 28 თებერვლის №AR1664858 განაცხადით მოთხოვნილია სამსახურის 2018 წლის 15 იანვრის №3778683 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება და დამკვეთად შ.პ.ს "ჰოვერი"-ს (405287032) და ამხანაგობა „ატენი19“-ის (205486421) დაფიქსირება.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხადების რეგისტრაცია – №882019097104, მომზადების თარიღი: 11/02/2019 17:45:51) თანახმად, N01.14.14.011.083 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ინდ. მენაშენეთა ამხანაგობა „ატენი-19“ (205186421) საკუთრებას, რომლის თავმჯდომარეს წარმოადგენს ბაქარ გეგელაშვილი (01024037601). სამსახურში წარმოდგენილია ბაქარ გეგელაშვილის მიერ გაცემული, შესაბამისი წესით დამოწმებული, გიორგი ასათიანისთვის უფლებამოსილების მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: N181214372, რეგისტრაციის თარიღი: 02.10.2018).
საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა წარმოდგენილ იქნას შ.პ.ს "ჰოვერი"-ს (405287032) შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა, დამკვეთად, მასთან ერთად, ამხანაგობა „ატენი-19“-ის (205486421) დაფიქსირებასთან დაკავშირებით.
„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე–2 ნაწილის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაევალოს განმცხადებელს 5 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შ.პ.ს "ჰოვერი"-ს (405287032) შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა, დამკვეთად მასთან ერთად ამხანაგობა „ატენი-19“-ის (205486421) დაფიქსირებასთან დაკავშირებით.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2019 წლის 28 თებერვლის №AR1664858 განაცხადი დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge